



სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტის
სტუდენტის/კურსდამთავრებულის საშუალო ქულის დაანგარიშების წესი

დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2017 წლის 16
ოქტომბერს (დადგენილება N17/4)

1. სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – „უნივერსიტეტი“) სტუდენტის/კურსდამთავრებულის საშუალო ქულის (ე. წ. GPA (grade point average)) დასაანგარიშებლად თავდაპირველად ხდება სტუდენტის/კურსდამთავრებულის მიერ მიღებული შეფასებების შესაბამისობის დადგენა საშუალო ქულასთან (GPA) ქვემოთ წარმოდგენილი პრინციპით:

ა) შეფასების 100 ქულიანი სისტემის შემთხვევაში:

შეფასება	ქულობრივი მაჩვენებელი	GPA
A	91 – 100	4.0
B	81 – 90	3.0
C	71 – 80	2.0
D	61 – 70	1.0
E	51 – 60	0.5
F – FX	0 – 50	0.0

ბ) შეფასების 5 ქულიანი სისტემის შემთხვევაში:

შეფასების 5 ქულიანი სისტემის არსებობისას, დაინტერესებული პირის წერილობითი მომართვის საფუძველზე, ხორციელდება 5 ქულიანი სისტემის შეფასების 100 ქულიან სისტემაზე კონვერტირება (აკადემიური საბჭოს 2017 წლის 16 ოქტომბრის N 17/2 დადგენილებით დამტკიცებულ სსიპ

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა მობილობის ფარგლებში გადმოსულ და აღდგენილ სტუდენტთა კრედიტების აღიარების წესის შესაბამისად) და სტუდენტის/კურსდამთავრებულის საშუალო ქულის დაანგარიშება ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

გ) 5 ქულიანი სისტემის შეფასების 100 ქულიან სისტემაზე კონვერტირება ხორციელდება აკადემიური საბჭოს 2017 წლის 16 ოქტომბერს N 17/2 დადგენილებით დამტკიცებულ სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა მობილობის ფარგლებში გადმოსულ და აღდგენილ სტუდენტთა კრედიტების აღიარების წესის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად.

2. უნივერსიტეტის სტუდენტის/კურსდამთავრებულის საშუალო ქულის (GPA) დაანგარიშების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნას სტუდენტის/კურსდამთავრებულის მიერ უნივერსიტეტში სწავლების შესაბამის საფეხურზე მიღებული ყველა შეფასება.

3. უნივერსიტეტის სტუდენტის/კურსდამთავრებულის საშუალო ქულის (GPA) დაანგარიშება ხდება ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ სასწავლო ბარათში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე შემდეგი წესის მიხედვით:

ა) უნივერსიტეტის სტუდენტის/კურსდამთავრებულის მიერ თითოეულ სასწავლო კურსში მიღებული შეფასების საშუალო ქულა (GPA) მრავლდება ამ კურსის კრედიტების რაოდენობაზე;

ბ) ამგვარად მიღებულ ნამრავლთა ჯამი იყოფა ყველა სასწავლო კურსის კრედიტების საერთო რაოდენობაზე;

გ) თუ მიღებული სიდიდე შეიცავს მეთედზე მეტი თანრიგის მაჩვენებელს იგი უნდა დამრგვალდეს მეთედამდე სიზუსტით;

დ) მიღებული სიდიდე წარმოადგენს საშუალო ქულას (GPA).

4. მეთედამდე სიზუსტით დამრგვალება გულისხმობს შემდეგს:

ა) მეასედის ჩათვლით მის მარჯვნივ არსებული ყველა ციფრი იშლება;

ბ) თუ მეასედის მაჩვენებელი ციფრი ნაკლებია 5-ზე, მაშინ მეთედის მაჩვენებელი ციფრი უცვლელი რჩება;

გ) თუ მეასედის მაჩვენებელი ციფრი მეტია ან ტოლი 5-ის, მაშინ მეთედის მაჩვენებელი ციფრი იზრდება ერთი ერთეულით.

5. საშუალო ქულის (GPA) დაანგარიშებისას არ უნდა იქნას გათვალისწინებული „ჩათვლები“ ანუ ის შეფასებები, რომლებსაც არა აქვს ქულობრივი მაჩვენებელი.

6. უნივერსიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტის/კურსდამთავრებულის საშუალო ქულის (GPA) დაანგარიშების დროს გათვალისწინებულ არ უნდა იქნას სტუდენტის/კურსდამთავრებულის მიერ

უნივერსიტეტში სწავლების შესაბამის საფეხურზე მიღებული ყველა იმ სასწავლო კურსის ნაწილის შეფასება, რომელშიც მისი შეზღუდული შესაძლებლობიდან გამომდინარე ვერ ახერხებდა სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში.

7. უნივერსიტეტის იმ კურსდამთავრებულთათვის, რომლებმაც სწავლა დაასრულეს უნივერსიტეტში ECTS კრედიტების სისტემის დანერგვამდე, ანუ 2005–2006 სასწავლო წლამდე, კრედიტების დაანგარიშება მოხდეს პირობითად, შემდეგი სისტემის მიხედვით: თითოეული სასწავლო კურსის საკონტაქტო საათებს დაემატოს დამოუკიდებელი მუშაობის საათები (საკონტაქტო საათების გამრავლებით შესაბამის კოეფიციენტზე (მაგალითად, 2–ზე ან სხვა რიცხვზე) სასწავლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით), ხოლო საათების მიღებული რაოდენობა გაიყოს 25–ზე, ანუ 1 კრედიტის საათების რაოდენობაზე. მოხდეს აღნიშნული წესით დაანგარიშებული არამთელი კრედიტების დამრგვალება. თუ აღნიშნული წესის მიხედვით დაანგარიშებული კრედიტების რაოდენობა ბევრად ნაკლები ან მეტია სწავლების შესაბამისი საფეხურისათვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობაზე, კრედიტების რაოდენობის დადგენა მოხდეს სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ.

8. უნივერსიტეტის თითოეული კურსდამთავრებულის საშუალო ქულა (GPA) მიეთითება დიპლომის დანართში, რაც წარმოადგენს დიპლომის საშუალო ქულას (GPA).

9. 2009–2010 სასწავლო წლამდე უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის დიპლომის საშუალო ქულის (GPA) დაანგარიშებას ახდენს უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატი კურსდამთავრებულის პირადი განცხადების საფუძველზე. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის დიპლომისა და დიპლომის დანართის ასლები.